# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№ 1028 2019 წლის 3 მაისი ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე

საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის – 12 მაისის აღნიშვნის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 694 600 (ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ლარი, მათ შორის:

ა) 480 000 (ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის;

ბ) 141 600 (ას ორმოცდაერთი ათას ექვსასი) ლარი – საქართველოს საპატრიარქოსათვის;

გ) 73 000 (სამოცდაცამეტი ათასი) ლარი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე